ეროვნული ბიბლიოთეკა

▲ თბილისის სპორტის სასახლეში კვლავ ათასფერად აელვარდა საახალწლო ნაძვისხე. მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების პერიოდში ბევრი მოზარდი პირველად ეწვევა ამ სპორტულ კერას. მერე კი... მერე, ვინ იცის, იქნებ ის სარბიელი, სადაც პატარებს ახლა ნაძვისხისკენ მიუხარიათ, მომავალში მათი ოსტატობის, დიდ სპორტში თავგამოჩენის სარბიელად იქცეს...

▲ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-სპორტული ბაზა ყოველწლიურად მტკიცდება. ახალი წლის წინ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ ნაგებობებს კიდევ ერთი ახალი კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი შეემატა. ახალ დარბაზში სპი-ს სტუდენტებმა თბილისის უნივერსიტეტის ვაჟ კალათბურთელებს უმასპინძლეს. ეს ამხანაგური შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა.

▲ როგორც ახლახან ჟურნალისტებთან შეხვედრისას თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა კახი ასათიანმა განაცხადა, თბილისის „დინამო“ 3 იანვრიდან შეუდგებოდა ვარჯიშს. გუშინ ჩვენ დავეხწარით დინამოელთა პირველ მეცადინეობას (ფოტორეპორტაჟს გთავაზობთ მე-3 გვერდზე).

ნონა გაფრინდაშვილის თაოსნობით

სპორტში შეუძლებელია ტრადიციებისა და მემკვიდრეობითობის შენარჩუნება ნიჭიერი თაობის, სრულფასოვანი რეზერვის აღზრდა-დაოსტატების გარეშე. ამ საკითხს მთელი სერიოზულობით ეკიდება რესპუბლიკის სპორტსახკომი. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, სპორტის ცალკეულ სახეობებში იქმნება სარეზერვო გუნდები და ყურადღების გარეშე არც რეზერვის რეზერვი რჩება.

ამ მიზანმიმართული მუშაობის გამოძახილია ჩვენი სასიქადულო მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის თაოსნობა — მოზარდ მოჭადრაკეებზე რესპუბლიკის დიდოსტატებისა და ოსტატების მიმაგრების შესახებ. ახალი წლის წინა დღეებში გამართულ რესპუბლიკის სპორტსახკომის კოლეგიაზე მოიწონეს ეს თაოსნობა. დამტკიცდა იმ დიდოსტატებისა და ოსტატების სია, რომლებიც ნორჩ მოჭადრაკეებთან იმუშავებენ. ს. ნიკოლაძეს (დაბ. 1973 წ) შეფობას გაუწევს მსოფლიო ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე; ქ. კახიანთან (1971) იმუშავებს ნ. გაფრინდაშვილი; ნ. ჯანჯღავას და ს. ტერელაძეს (ორივე — 1972) ნ. ალექსანდრია და დ. ჯანოევი უხელმძღვანელებენ; ხ. სუპატაშვილი (1964) თამაზ გიორგაძის დახმარებით დაოსტატდება, ტ. ლანჩავა (1975), ლ. ჯანჯღავა (1970) და რ. სიჭინავა (1973) — ბ. გურგენიძის, ხოლო გ. გოგოლაძე (1972) და ც. მერეკლიშვილი (1969) ე. გუფელდის შეგირდები იქნებიან. ი. პოპოვს (1971) და ა. იაშვილს (1973) ე. უბილავა გაუწევს კონსულტაციებს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 2 (9413)

4 იანვარი, კვირა, 1987 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ფეხბურთელი ყოფილიყოს

უფრო მაღალი გადასახედიდან იწყებს ცხოვრებას ჩვენი ქვეყანა. მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელი მართლაც გადამწყვეტი წელიწადი იქნება, რადგან პრაქტიკულად უნდა განვახორციელოთ ის სიახლეები, რაც სკკპ XXVII ყრილობამ დაგვისახა. ის ღრმა ცვლილებები, ჩვენი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში დაჩქარების კურსით რომ მიმდინარეობს, კიდევ უფრო განამტკიცებს ქვეყნის ძლიერებას, აამაღლებს მის ავტორიტეტს. 1987 წელს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოხმარდება ეროვნული შემოსავლის მატების დაახლოებით სამი მეოთხედი, ამ წელს ფაქტიურად ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს გარდაქმნები და ცვლილებები.

„დამდეგ წელს უნდა დავლაშქროთ კიდევ უფრო მაღალი მიჯნები ეკონომიკაში, განვახორციელოთ საწარმოთა ფართო ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს გარდაქმნები და ცვლილებები. „დამდეგ წელს უნდა დავლაშქროთ კიდევ უფრო მაღალი მიჯნები ეკონომიკაში, განვახორციელოთ საწარმოთა ფართო მასშტაბის გადასვლა მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე, მკვეთრად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი“ — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის საახალწლო მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი.

ეს მოწოდება, ცხადია, ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობასაც ეხება. დიახ, ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა არმიამ, ჩვენი ახალგაზრდობის ამ მოწინავე რაზმმა, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, ფიზკულტურა და მასობრივი სპორტი ადამიანების ერთგული მოკავშირე უნდა გახდეს შრომის ფრონტზე. რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა გარდაქმნა-განახლების გზით მიიწევს ახალი მწვერვალებისკენ. ამის მტკიცე საფუძველი უკვე არსებობს. ახლა მთავარია, კიდევ უფრო გავააქტიუროთ მუშაობა თითოეულ რგოლში, მკაფიოდ დავინახოთ მიზანი, რომლისკენაც მივისწრაფვით. ეკონომიკური სიახლეების დანერგვით უნდა მივაღწიოთ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას. სპორტული ობიექტების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლით უნდა გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომსახურება — მხოლოდ ამ გზით შევძლებთ თითოეული სპორტული ბაზის მაქსიმალური უკუგებით გამოყენებას, მათ კეთილმოწყობას...

დიდი სპორტი თავისებური პროდუქციაა, რომლის ხარისხი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი თავდადებით, სიახლის ძიებით იმუშავებენ ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები. მასობრივობის ხარისხის ამაღლება მოგვცემს დიდი სპორტისათვის საუკეთესოთა არჩევის შესაძლებლობას, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში უმაღლესი სინჯის მედლების მოპოვების საშუალებას.

ახალ წელს მუდამ ახალი იმედებით ეგებება ხალხი. რესპუბლიკის სპორტის გულშემატკივართა ფიქრი დღეს ქართულ სპორტს დასტრიალებს, ახალ წელს ახალ წარმატებებს მოელიან ისინი ჩვენი სახელოვანი სპორტსმენებისაგან.

ნუმც გაცრუებოდეთ იმედი. ქართული სპორტისთვისაც ფეხბედნიერი ყოფილიყოს წელი ახალი.

ფეხბურთელი — ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონის მონაწილეობით

ჯასტინგსში (ინგლისი) დაიწყო ვაჟ მოჭადრაკეთა ტრადიციული საახალწლო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ცნობილი დიდოსტატები ბენტ ლარსენი (დანია), ანდრაშ ადორიანი (უნგრეთი), მიურეი ჩანდლერი, ჯონათან სპილმენი, ჯონ მესტელი (სამივე — ინგლისი) და სხვები. ტურნირზე სათამაშოდ მიიწვიეს საბჭოთა დიდოსტატებიც, ერევნელი სმბატ ლპუტიანი, მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და თბილისელი ედუარდ გუფელდი. გთავაზობთ პირველი ორი ტურის შედეგებს:

I ტური. სპილმენი — კუდრინი (აშშ) 0,5:0,5, მესტელი — ადორიანი 0,5:0,5, გუფელდი — ლარჯი 0:1, ჰოდგსონი (ორივე — ინგლისი) — ლპუტიანი 0,5:0,5, პლასკეტი — ჩანდლერი (ორივე — ინგლისი) 0:1, პეტურსონი (ისლანდია) — კონკუესტი (ინგლისი) 0,5:0,5. ორჯერ გადაიდო ჩიბურდანიძისა და ლარსენის პარტია.

II ტური. ლარჯი — ჩიბურდანიძე 0:1, ლპუტიანი—პლასკეტი 1:0, კუდრინი — კონკუესტი 1:0. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

12 ათასი კილომეტრი ავტომანქანებით

ბარსელონა. დამთავრდა პოპულარული ავტორალის პარიზი-დაკარი—პირველი ეტაპი. შეჯიბრებაში მონაწილე ხუთასამდე ეკიპაჟმა 1200 კილომეტრი ზუსტად საკონტროლო დროში (20 საათი) გაიარა. ბარსელონაში ფინიშთან პირველი ფრანგი ჟილ ლალეი იყო (ავტომანქანა „ჰონდა“).

გუშინ შეჯიბრების მონაწილენი თავიანთი მანქანებით გემებზე გადასხდნენ და ალჟირისკენ გაემგზავრნენ. რბოლა აფრიკის კონტინენტზე განახლდება და კიდევ 23 დღეს გასტანს. სულ რალის მონაწილეებმა 12 ათასი კილომეტრი უნდა დაფაროონ.

ზავაროვი—საბჭოთა კავშირში საუკეთესო

ქვეყნის ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი, 25 წლის **ალექსანდრე ზავაროვი** გასული სპორტული სეზონის მიხედვით საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ყოველკვირეული გაზეთის „ფუტბოლ-ხოკეის“ გამოკითხვაში, რომელშიც 175 ჟურნალისტი მონაწილეობდა, მან 357 ქულა მოაგროვა (81 — პირველი ადგილი, 51- — მეორე და 12 — მესამე) და საგრძნობლად გაუსწრო თანაგუნდელს, 1986 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს **იგორ ბელანოვს.** ამ უკანასკნელმა 313 ქულა მიიღო (64, 54 და 13). მესამე ადგილზეა 34 წლის ევროპის 1975 წლის საუკეთესო ფეხბურთელი **ოლეგ ბლოხინი** — 81 (13, 10 და 22).

სულ ჟურნალისტებმა 7 კლუბის 22 ფეხბურთელი, მათ შორის 11 კიეველი დაასახელეს. ასეთი გამოკითხვა 1964 წლიდან ტარდება. მაშინ საუკეთესოდ აღიარეს მოსკოვის „ტორპედოს“ მოთამაშე ვალერი ვორონინი.

XII

თვის მონაგარი

დეკემბრის სიურპრიზები

დეკემბრის სპორტული კალენდარი, როგორც წესი, არც ისე მრავალფეროვანია. ამ დროისათვის სპორტის საზაფხულო სახეობებში უკვე ჩატარებულია მთავარი შეჯიბრებები, ზამთრის სპორტის მომდევრები კი ეს-ესაა იწყებენ სეზონს. მიუხედავად ამისა, საქართველოს სპორტსმენთა დეკემბრის მონაგარი არც ისე ღარიბია.

სპორტული წელი დიდი გამარჯვებით დაასრულეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა. დიუბაიში (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) გამართულ ქალთა XII ხაჭადრაკო ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაიანადა ოქროს მედლები. გუნდში მხოლოდ საქართველოს მოჭადრაკეები იყვნენ — მაია ჩიბურდანიძე, ელენა ახმილოვსკაია, ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. აღსანიშნავია, რომ საჭადრაკო ოლიმპიადაზე საბჭოთა გუნდი უკვე მესამედ მოლიანად საქართველოს დიდოსტატებით დაკომპლექტდა.

ოლიმპიადაზე დიდ წარმატებას მიაღწია მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა. მას სამი

ოქროს მედალი გადაეცა. პირველი ოლიმპიადაში გამარჯვებისთვის, მეორე — თავის დაფაზე მოპოვებული საუკეთესო შედეგისთვის, მესამე — ტურნირში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგისთვის — 10-დან 10 ქულა.

ბახულ წელს საბჭოთა სტაიერთა ნაკრები, საკავშირო სპორტსახკომის გადაწყვეტილებით არ-

იხ. მე-2 გვ.

XII

თვის მონაგარი

დეკემბრის სიურპრიზები

დასასრული

ადამაკმაყოფილებელი შედეგების ჩვენების გამო, დაიშალა. ახლის ჩამოყალიბება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის და ოლიმპიური თამაშებისთვის ახლა იწყება, ამიტომ 23 წლის თბილისელი სტაიერის ოლეგ სტრიჟაკოვის გამარჯვება საკავშირო თახის გათამაშებაში მნიშვნელოვან წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. დუშანბეში ოლეგის მეტოქე იყო რამდენიმე ისეთი ძლიერი მორბენალი, რომლებმაც ადრე სწორედ კროსმენთა შეჯიბრებებში გამოიჩინეს თავი, მაგრამ მათ შორის საუკეთესო, მინსკელი ვიქტორ ჩუმაკოვიც უძლური აღმოჩნდა სტრიჟაკოვთან ბრძოლაში. თუ იუნიორთა შეჯიბრებებს არ ჩავთვლით, ეს ჩვენი მორბენლის პირველი გამარჯვებაა ქვეყნის კროსმენთა პირველობაზე. ოლეგმა 10-კილომეტრიანი დისტანცია 29.46,3 წუთში გაირბინა. ჩანს, ქვეყნისა და IX საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატი, 1987 წლის სეზონისთვის მეტად აქტიურად ემზადება.







1986 წლის სპორტული სეზონი არაერთხელ გაგვახარეს სინქრონული ცურვის ჩვენმა ოსტატებმა. მათ სურდათ ეს აღმასვლა კარგად დაეგვირგვინებინათ და მიზანსაც მიაღწიეს. სვერდლოვსკში გამართულ სინქრონული ცურვის ოსტატთა საკავშირო თახის პირად გათამაშებაში თბილისელებმა ნინო გელაშვილმა და ლელა მამიაურმა („კოლმეურნე") წყვილთა ახპარეზობაში ყველას აჯობეს, თანაც აჯობეს ისეთ აღიარებულ ოსტატებს, როგორებიც არიან ჭაბუკთა თამაშების ჩემპიონები და ევროპის პირველობაში გამარჯვებულნი, მოსკოველები ნატალია გრუზდევა და ელენა აზაროვა, აგრეთვე საკავშირო ნაკრების წევრები, ასევე მოსკოველები ოლგა ტარასოვა და ოლგა მალინინა.

გვახარებს ის, რომ ჩვენმა გოგონებმა გიგანტური ნახტომი გაიკეთეს სავალდებულო პროგრამით ახპარეზობაში, სადაც მამიაური უძლიერესი აღმოჩნდა, ხოლო გელაშვილი მეოთხე იყო.

1986 წლის სპორტული სეზონი საკავშირო თახის პირად გათამაშებაში მონაწილეობით დაამთავრეს ჩვენმა მოცურავეებმა. ამგვარ შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენებს, ირინა გერასიმოვას შემდეგ, წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. და აი, ვილნიუსში გამართულ ახპარეზობაში თბილისელმა იგორ არტიომოვმა („განთიადი") 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მეორე, ამავე სტილით 1500 მეტრზე შეჯიბრებაში კი მესამე ადგილი დაიკავა.

საქართველოს სამბისტებს ხუთი წელი არ გაუმარჯვიათ საბჭოთა კავშირის თახის გათამაშებაში. და აი, როგორც იტყვიან, ნავსი გატყდა: ქარელელმა ფალავანმა ჯემალ მჭედლიშვილმა ლვოვში გამართულ შეჯიბრებაში პირად ტურნირში საკავშირო თახი დაიპაკუთრა. მას შემთხვევით არ გაუმარჯვნია. ჯემალმა, რომელიც სტაბილურად გამოდის სამბისტთა და ძიუდოისტთა ტურნირებში, წელს მეორედ მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ქართულ ჭიდაობაში.

ოთხი შეხვედრა — ოთხი გამარჯვება და ქულათა მაქსიმუმი! ასეთია თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდის შედეგი საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურში. დინამოელებმა საკუთარი გულშემატკივარი არა მარტო კარგი შედეგით, თავგანწირული და ტემპერამენტიანი თამაშითაც გაახარეს. ახლა თბილისელები გათამაშების ცხრილში, ჩემპიონატის პირველი ეტაპის ფინიშზე (გუნდს ჩახატარებელი დარჩა სამი მატჩი) მეხამე ადგილზე არიან და პირველ ექვსეულში დამკვიდრებისთვის იბრძვიან. აღსანიშნავია, რომ არ თამაშობენ დერიუგინი და გრძელიძე, რომლებიც დაშავებულნი არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისელებს რეზერვში აქვთ დიდი ძალა. ახე რომ, მათ შეუძლიათ უკეთესად ითამაშონ და ახალი წარმატებებით გაგვახარონ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲒᲡᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჭაბუკ მოკრივეთა V საერთაშორისო ტურნირმა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზზე ახალი სახელები გაგვაცნო. ნიკოლოზ ჯაჭვაძე, არტურ სალატელიანი, არჩილ ბიბილური და ლევან შარიქაძე პირველად გახდნენ ახეთი პრესტიჟული ტურნირის პრიზიორები, ნიკოლოზმა, არტურმა და არჩილმა ვერცხლის მედლები დაიხაკუთრეს, ლევანმა კი ბრინჯაოსი. ტურნირის გამარჯვებულს კი „რიგის მოყვარულები კარგად იცნობენ. ჯამბულათ უუფარაძემ ხომ IV ტრადიციულ ტურნირშიც გაიმარჯვა.

1986 წელი იწურებოდა, როცა კიდევ ერთი სახიხარულო ცნობა მივიღეთ — დომენტი დანელიამ გროზნოში მოკრივეთა საკავშირო თახის გათამაშებაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, აბსოლუტურ პირველობაში კი III-IV ადგილები გაიყო. თახის გათამაშებაში ბრინჯაოს მედლები გადაეცათ ეროსი მარგიანს და ალი მამედოვს.

კანონზომიერება და სენსაცია

ულანევა. 2 იანვარი. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი სათავეში მოექცა იმ დიდოსტატთა სიას, რომელთაც ყველაზე მაღალი რეიტინგები აქვთ. როგორც ლუცერნიდან, ფიდე-ს შტაბ-ბინიდან გვაცნობეს, 1987 წლის 1 იანვრისთვის კასპაროვის რეიტინგი შეადგენდა 2735-ს. 25 ბალით ნაკლები აქვს ამ სიაში მეორე ადგილზე მყოფ მსოფლიოს ექსჩემპიონს ანატოლი კარპოვს. 2645 ბალი ორმა მოჭადრაკემ დააგროვა — ანდრეი სოკოლოვმა და არტურ იუსუპოვმა. ისინი III-IV ადგილებს ინაწილებენ.

თუ ვაკეებში ყველაფერი კანონზომიერია, ქალებში სენსაცია მოხდა: ყველაზე მაღლა ფიდე-მ ბერძენი მოჭადრაკე ელენ ვაზოურა დააყენა. იგი არც დიდოსტატია და საერთაშორისო ოსტატის წოდებაც არა აქვს მინიჭებული, ეს მოჭადრაკე არც ფიდე-ს რეიტინგ-ლისტში შესულა ოდესმე. როგორც ფიდე-ს გენერალურმა მდივანმა ლიმ კოკ ანმა განაცხადა, ვაზოურამ რამდენიმე ძლიერ მეტოქესთან პაექრობაში კარგი შედეგები აჩვენა და 2575 ბალი დააგროვა.

მეორე შედეგი (2530) აქვს მსოფლიოს ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს. შემდეგ მოდიან ჟუჟა გაბორი (უნგრეთი) — 2495 და ნონა გაფრინდაშვილი — 2475. (საკდესი).

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ, ᲣᲦᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ

სენი უნდა დავამარცხოთ

თეთრ, ქათქათა ოთახში ელერს მუსიკის ჰანგები. სამკურნალო ტანვარჯიშის მეთოდისტი მითითებებს აძლევს ბავშვებს. ისინი ერთი წუთის წინ ლამის გაგუდულიყვნენ, ახლა კი უკვე თანაბრად და ღრმად იწყებენ სუნთქვას...

ჩვენ ვიმყოფებით მარილთერაპიის, ჩვენს ქვეყანაში პირველი რესპუბლიკური ბავშვთა აღდგენითი მკურნალობის ცენტრის ახალ კაბინეტში, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ეკუთვნის. ოთახში ჰაერი სუფრის მარილის ნაწილაკებით არის გაჯერებული. სპეციალური აპარატურით გაფრქვეული მარილი ეკვრის ოთახის ჭერსა და კედლებს და ქმნის ასთმიანებისთვის საჭირო მიკროკლიმატს — სამკურნალო თვისებებით განთქმული მარილის მღვიმეების მიკროკლიმატის მსგავსს. ხელოვნური გარემოს პირობებში ავადმყოფს თანდათან უქრება მძიმე შეტევები, ხოლო კლიმატოთერაპიის რამდენიმე სეანსის შემდეგ მათ შორის ინტერვალები იზრდება და ავადმყოფობა საბოლოოდ ინკურნება.

— ასეთ „მღვიმეებში" მკურნალობას დიდი უპირატესობა აქვს, — თქვა ცენტრის მთავარი ექიმის მოადგილემ სამკურნალო ნაწილში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გული გვილავამ. — ბრონქების ასთმის გარდა, აქ ავადმყოფებს ვუმსუბუქებთ ალერგიულ დაავადებათა მიმდინარეობას, რომლებიც სამკურნალოდ თერაპია ვერ შველის. პროცედურები აბსოლუტურად უვნებელია, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მათი გამეორება და პროფილაქტიკური მიზნით გამოყენება. რაც მთავარია, მარილის მღვიმეებში მკურნალობა სწრაფად იძლევა ეფექტს, არ არღვევს პაციენტის ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმს. ეს უკანასკნელი ფრიად მნიშვნელოვანია — მძიმე შეტევები ხომ ქრონიკულ დაავადებად შეიძლება გადაიქცეს.

ბავშვის ავადმყოფობა დიდი უბედურებაა. ექიმები ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ბავშვები საზოგადოებას სრულფასოვანი შრომისთვის მოვუმზადოთ, და თუ ეს ვერ შევძელით, ვცდილობთ ვასწავლოთ როგორ მიხედონ სხვის დაუხმარებლად საკუთარ თავს. ჩვენთან ხომ მძიმედ დაავადებულები შემოდიან, კერძოდ, ცენტრალური ნერვული სისტემის ფსიქიკის დარღვევებით, საყრდენ-სამოძრაო აპარატის ანომალებით.

ეს არის არა მარტო სამედიცინო, არამედ სოციალური რეაბილიტაციაც, რომელიც მოითხოვს ათობით პროცედურის ჩატარებას. სამკურნალო ფიზკულტურიდან პროთეზირებამდე, ვინაიდან ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ბავშვებს შევასწავლოთ ყოფითი ჩვევები, განუზომლად გვახარებს ყოველი გამარჯვება სენზე.

...ვრცელ ოთახში მოსახერხებელ, საგანგებოდ ბავშვებისთვის დამზადებულ მაგიდებს პატარა პაციენტები უსხედან. გეგონებათ, რომ აქ მიმდინარეობს ჩვეულებრივი შრომის გაკვეთილი — ვიღაც ღილს აკერებს ჩითის ნაჭერს, ვიღაც ბაფთას უკეთებს თოჯინას... გვერდით მეორე ოთახია, რომელიც საბანკეტო დარბაზს მოგაგონებთ. აქ მოზარდები სუფრას აწყობენ. ყოველივე ეს შეიძლება მართლაც ჩვეულებრივი გაკვეთილი გეგონოს, თუ არ იცი, რომ სულ რამდენიმე თვის წინ ამ ნორჩებს არ შეეძლოთ კოვზი მიეტანათ პირთან.

სასწავლო კლასებში მეცადინეობა მიმდინარეობს ყველა სასკოლო დისციპლინაში, მაგრამ ეს მეცადინეობაც განსხვავებულია, იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ დატვირთვა, ვთქვათ, ხერხემალზე, ზოგიერთი მოწაფე სპეციალურ ტახტზე ან თაბაშირის საწოლზე წამოწოლილი მეცადინეობს.

მაგრამ ცენტრს აქვს პრობლემებიც — იგი უნდა გაფართოვდეს, მოგვარდეს წყლის მოწოდება, რომელიც ასე გვჭირდება სამკურნალო პროცედურებისათვის. ჯერჯერობით ჩვენი აუზი უწყლობის გამო მეტწილად ცარიელია. არ გვყოფნის სპეციალური ავეჯი, ორთოპედიული საბავშვო საწოლები... (საქინფორმი).



ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲡ

„დაწერე, დაწერე"

„ლელოს" 3 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ფელეტონის („დაწერე, დაწერე") პასუხად გაცხობებთ, რომ ფელეტონში მოყვანილი ფაქტები ჩინამდვილეს შეეფერებოდა. არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, საქმთავარენერგოს ყაზბეგის ელქსელების სამმართველომ (დირექტორი მ. შიოლაშვილი) საბაგირო ხაზის ზედა და ქვედა სადგურებში მეორადი კვებისათვის საჭიერო-საბაზო გამთიშველები დაამონტაჟა. ახე რომ, ერთი 10 კილოვოლტიანი ელგადამცემი ხაზის დაზიანების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ელექტროენერგიის მეორე, ამავე სიმძლავრის ელგადამცემი ხაზით მიწოდება, რაც უზრუნველყოფს საბაგირო გზის შეუფერხებელ მოძრაობას. მაგრამ რესპუბლიკური სატრანსპორტო-საბაგიო საწარმომ უნდა დააჩქაროს მეორე სატრანსფორმატორი ქვედადგურების დამონტაჟება საბაგიროს ზედა და ქვედა სადგურებში.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ელექტროენერგიით მეორადი ხაზი მიეცა სასტუმრო „ბიდარას", წყალსაჭაჩა და რადიოსარელეო სადგურსაც.

მომხდარი ფაქტის შესახებ იმსჯელა საქართველოს კპ ყაზბეგის რაიკომის ბიურომ და საქმთავარენერგოს ყაზბეგის ელქსელების მთავარ ინჟინერს ამხ. გ. ფირანიშვილს გამოუცხადა საყვედური.

Ჯ. ᲑᲝᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს კპ ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲚᲘᲦᲘᲡ ᲒᲐᲥᲕᲗ ᲓᲐ ᲚᲘᲦᲘᲡ ᲐᲥᲕᲗ...

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲐ

აქ ჩატარდა რაიონის წარმოება-დაწესებულებათა გუნდების შეჯიბრება ფეხბურთში, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატისა და საკოლმეურნეობათშორისო მშენებლობის საბჭოს გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში წარმატებას მშენებლებმა მიაღწიეს.

აღსანიშნავია, რომ საკავშირო გარდამავალი დროშის მფლობელი საკოლმეურნეობათშორისო მშენებლობის საბჭოში (თავმჯდომარე ვ. კვარაცხელია) ახალგაზრდებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის, რასაც სპორტული სექციების სიმრავლეც ადასტურებს.

ᲝᲚᲔᲒ ᲮᲐᲚᲘᲐ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ

დიდი ზეიმი გაიმართა ამ დღეებში სოფელ ზემო ჭედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. სოფლის მშრომელებმა იზეიმეს კოლმეურნეობის დაარსების 60 წელი. ამავე დღეს სოფელში გაიხსნა კულტურულ-სპორტული კომპლექსი. გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც რაიონის საუკეთესო ფალავნებმა მიიღეს მონაწილეობა.

„ᲚᲔᲚᲝᲡ" ᲙᲝᲠ.

„დინამო“—87

ფოტორეპორტაჟი „დინამოს“ დიდმის საწვრთნელი ბაზიდან

თბილისის „დინამოს“ პირველი ვარჯიში ახალი საფეხბურთო სეზონის წინ

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ახალი წელი, ტრადიციულად, ახალ შეჯიბრებებს, ახალ სიხარულსა და მოლოდინს ნიშნავს. 1987 წლის სპორტული კალენდარი მდიდარია საერთაშორისო ტურნირებით, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ წლის განმავლობაში სხვადასხვა კონტინენტზე (შეტწილად ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში) 29 მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, ოთხ მათგანს ევროპის შუაგულში ავსტრია უმასპინძლებს. სამ-სამი მსოფლიო ჩემპიონატი შვეიცარიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში ჩატარდება. 1987 წელს საფრანგეთის ქალაქები ევროპის ჩეშპიონატების მონაწილეებსაც ფართოდ გაუღებენ კარებს. აქ კონტინენტის შვიდი ჩემპიონატი გაიმართება, უმთავრესად ზაფხულის სპორტის სახეობებში.

მსოფლიო თასის სამ გათამაშებას უმასპინძლებს ამერიკის შეერთებული შტატები. ამდენივე ევროპის ჩეშპიონატი ჩატარდება ფინეთში, სულ მსოფლიოს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი კი სამ ათეულზე მეტ მსხვილ საერთაშორისო ტურნირსა და ოფიციალურ ჩემპიონატს მოიცავს. საერთაშორისო კონტაქტების ასეთი გააქტიურება, ტრადიციულად, ოლიმპიური თამაშების წინა წელს შეინიშნება ხოლმე. ამ მხრივ, როგორც ხედავთ, გამონაკლისი არც 1987 წელი იქნება.

მაშ ასე, ვნახოთ რა შეჯიბრებებს გვპირდება მომავალი სპორტული სეზონი.

მსოფლიო ჩემპიონატები

ბობსლეი. 6-18 იანვარი. შვეიცარია.
ციგაობა. 19-25 იანვარი. ავსტრია.
სამთოხათხილამური სპორტი. 26 იანვარი-8 თებერვალი. შვეიცარია.
ციგურაობა (სრინტი). 31 იანვარი-1 თებერვალი. კანადა.
ბურთიანი ჰოკეი. 31 იანვარი-8 თებერვალი. შვეცია.
ციგურაობა (მრავალჭიდი, ქალები). 7-8 თებერვალი. აშშ.
ბიატლონი (ვაუები). 10-15 თებერვალი. აშშ.
თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. 11-22 თებერვალი. გფრ.
ციგურაობა (მრავალჭიდი, ვაუები). 14-15 თებერვალი. ნიდერლანდები.
მაგიდის ჩოგბურთი. 19-28 თებერვალი. ინდოეთი.
ბიატლონი (ქალები). 24-28 თებერვალი. ფინეთი.
ფიგურული ციგურაობა. 9-14 მარტი. აშშ.
მძლეოსნური კროსი. 22 მარტი. პოლონეთი.
მშვილდოსნობა. 23-29 მარტი. ავსტრალია.
ჰოკეი. 17 აპრილი-3 მაისი. ავსტრია.
ფარიკაობა. 16-28 ივლისი. შვეიცარია.
თანამედროვე ხუთჭიდი. 28 ივლისი-1 აგვისტო. საფრანგეთი.
საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე. 19-23 აგვისტო. გფრ.

ახალი წელი მსოფლიოს სპორტულ რუკაზე

აკადემიური ნიჩბოსნობა. 24-30 აგვისტო. დანია.
ველოტრეკი. 25-30 აგვისტო. ავსტრია.
კლასიკური ჭიდაობა. 26-29 აგვისტო. საფრანგეთი.
თავისუფალი ჭიდაობა. 27-30 აგვისტო. საფრანგეთი.
მძლეოსნობა. 29 აგვისტო-7 სექტემბერი. იტალია.
საგზატკეცილო ველოსპორტი. 2-5 სექტემბერი. ავსტრია.
ძალოსნობა. 3-12 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკია.
მხატვრული ტანვარჯიში. 17-20 სექტემბერი. ბულგარეთი.
ტანვარჯიში. 18-25 ოქტომბერი. ნიდერლანდები.
ტყვიის სროლა (პნევმატური იარაღით). 19-25 ოქტომბერი. უნგრეთი.
ძიუდო. 19-22 ნოემბერი. გფრ

მსოფლიო თასი

თავისუფალი ჭიდაობა. 4-5 აპრილი. აშშ.
სამბო. 5-8 აპრილი. მაროკო.
მძლეოსნობა (მარათონი). 12 აპრილი. სამხრეთ კორეა.
წყალში ხტომა. 24-27 აპრილი. ნიდერლანდები.
მძლეოსნობა (სპორტული სიარული). 2-3 მაისი. აშშ.
წყალბურთი. 10-17 მაისი. საბერძნეთი.
სინქრონული ცურვა. 1-3 ოქტომბერი. ეგვიპტე.
აკრობატიკა. 4-12 ოქტომბერი. აშშ.
კრივი. 11-20 ოქტომბერი. იუგოსლავია.
კლასიკური ჭიდაობა. 14-15 ნოემბერი. აშშ.
ძალოსნობა. 5 დეკემბერი. სამხრეთ კორეა.

ევროპის ჩემპიონატები

ციგურები (მრავალჭიდი, ქალები) 17-18 იანვარი. ნიდერლანდები.
ციგურები (მრავალჭიდი, ვაუები). 24-25 იანვარი. ნორვეგია.
ფიგურული ციგურაობა. 2-7 თებერვალი. იუგოსლავია.
ფრისტაილი. 6-8 თებერვალი. საფრანგეთი.
მშვილდოსნობა (დარბაზებში). 6-8 თებერვალი. საფრანგეთი.
მძლეოსნობა (დარბაზებში). 21-22 თებერვალი. საფრანგეთი.
ტყვიის სროლა (პნევმატური იარაღით). 27 თებერვალი-1 მარტი. ჩეხოსლოვაკია.
თავისუფალი ჭიდაობა. 1-3 მაისი. ბულგარეთი.
ძალოსნობა. 2-9 მაისი. საფრანგეთი.
ძიუდო. 7-10 მაისი. საფრანგეთი.
კლასიკური ჭიდაობა. 8-10 მაისი. ფინეთი.
კრივი. 21-31 მაისი. იტალია.
ტანვარჯიში. 22-28 მაისი. მოსკოვი.
კალათბურთი (ვაუები). 5-15 ივნისი. საბერძნეთი.
სამბო. 6-7 ივნისი. ბულგარეთი.
ცხენოსნობა (გაწვრთნა). 8-12 ივნისი. დიდი ბრიტანეთი.
სტენდი. 19 ივლისი-2 აგვისტო. ფინეთი.
ტყვიის სროლა (მცირეკალიბრიანი იარაღით). 23 ივლისი-1 აგვისტო. ფინეთი.
ბალახის ჰოკეი (ქალები). 12-24 აგვისტო. გფრ.
ხაწყლოსნო სახეობები. 16-23 აგვისტო. საფრანგეთი.
ბალახის ჰოკეი (ვაუები). 18-31 აგვისტო. მოსკოვი.
ცხენოსნობა (კონკური). 26-30 აგვისტო. შვეიცარია.
კალათბურთი (ქალები). 1-15 სექტემბერი. ესპანეთი.
ცხენოსნობა (სამჭიდი). 3-16 სექტემბერი. გფრ.
ფრენბურთი (ქალები). 24 სექტემბერი — 3 ოქტომბერი. ბელგია.
ფრენბურთი (ვაუები). 27 სექტემბერი-5 ოქტომბერი. ბელგია.
ძიუდო (გუნდური). 10-11 ოქტომბერი. საფრანგეთი.

ევროპის თასი

წყალში ხტომა. 6-8 მარტი. ბულგარეთი.
სტენდი. 10-16 ივნისი. თურქეთი.
მძლეოსნობა. 27-28 ივნისი. ჩეხოსლოვაკია.
მძლეოსნობა (მრავალჭიდი). 4-5 ივლისი. შვეიცარია.

იგორ ბელანოვი და... მერე სხვები

„ოქროს ბურთი“ საფეხბურთო ევროპის მეტად პრესტიჟული, მეტად მნიშვნელოვანი, პირველხარისხოვანი ინდივიდუალური პრიზია. ფრანგული საფეხბურთო გამოცემა „ფრანს-ფუტბოლი“ ცნობილ მიმომხილველთა გამოკითხვის შედეგად ამ პრიზს ანიჭებს ყოველი წლის ლაურეატს, საუკეთესოთა შორის საუკეთესოს.

ბოლო სამი წელია „ოქროს ბურთს“ უცვლელად ფლობდა განთქმული ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი, რომელსაც იმ წლებში მართლაც არ ჰყავდა ბადალი კონტინენტზე.

მაგრამ დრო გადის, ვითარება იცვლება და მიშელ პლატინიმაც აშკარად დაკარგა თავისი პოზიციები. 1986 წლის გამოკითხვის შედეგად ევროპის უძლიერეს ფეხბურთელად აღიარეს სსრ კავშირისა და კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი იგორ ბელანოვი, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე. კონკურსში მან 84 ქულა მიიღო.

მეორე ადგილზე გავიდა ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი გარი ლინეკერი, რომელმაც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა — 6. გ. ლინეკერმა 62 ქულა დააგროვა (სხვათა შორის, გარი ლინეკერი სექტემბრიდან ესპანეთის ცნობილ „ბარსელონაში“ გადავიდა.

პელე ითამაშებს ერთ მატჩს

ბრაზილიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ სან-პაულში დღეს იწყება ვეტერან ფეხბურთელთა პირველი ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი 6 გუნდის მონაწილეობით. იგი დიდ ინტერესს იწვევს. შეჯაბრებაში მონაწილეობას მიიღებენ წასრულში გამოჩენილი ფეხბურთელები და, კერძოდ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, 46 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელი პელე. ვეტერანთა ამ საინტერესო ტურნირს „პელეს თასი“ უწოდეს.

ჟურნალისტებთან საუბარში პელემ ამას წინათ განაცხადა, რომ იგი ტურნირზე მხოლოდ ერთ მატჩში მიიღებს მონაწილეობას, კერძოდ, იტალიის ნაკრების წინააღმდეგ. ბრაზილიელი ფეხბურთელი საქმიანი კონტრაქტითაა დაკავშირებული ამერიკის კომპანია „უორნერ კომუნიკეიშნზთან“, რომელიც ამზადებს გრამფირფიტებს, ვიდეოფილმების ჩანაწერებსა და სათამაშოებს.

„ფრანს-ფუტბოლის“ რეფერენდუმში 59 ქულით მესამე ადგილზეა ესპანელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი ემილიო ბუტრაგენიო.

მეოთხე-მეხუთე ადგილებზე ქულათა თანაბარი რაოდენობით — 22-22 გავიდნენ საფრანგეთის ნაკრების მცველი მანოელ ამორო და დანიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი პრებენ ელკიაერლარსენი.

საბჭოთა ფეხბურთელმა, კიევის „დინამოს“ თავდამსხმელმა ალექსანდრე ზავაროვმა და უელსელმა იენ რაშმა როგორც ადრეც ვიუწყებოდით, მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაიყვეს, თითოეულს 20-20 ქულა აქვს.

მაგრამ მიშელ პლატინი უყურადღებოდ მაინც არ დარჩენილა, ამ კონკურსში მან 8 ქულა დააგროვა და მე-11 ადგილი დაიკავა. ზუსტად ამდენივე ქულა აქვს ბელგიის ნაკრების მეკარეს ჟან-მარი პფაფს.

პეიტლი სამშობლოში ბრუნდება

25 წლის მარკ ჰეიტლი ფიქრობს, რომ მისი კარიერა იტალიაში წარუმატებლი გამოდგა. როგორც კი მომდინარე სეზონი დამთავრდება, ჰეიტლი აღარ განაახლებს ხელშეკრულებას „მილანთან“ და ინგლისში დაბრუნდება.

500 მატჩი

ამას წინათ საფრანგეთის პირველ დივიზიონში თავისი მეხუთასე მატჩი ჩაატარა ცნობილმა მეკარე დროპსიმ. 1972 წელს მან თავისი საფეხბურთო კარიერა „ვალანსიენში“ დაიწყო, შემდეგ ცხრა სეზონის განმავლობაში „სტრასბურგში“ გამოდიოდა, ახლა კი ბორდოს „ჟირონდაში“ თამაშობს. საინტერესოა, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიაში ეს მეცხრე შედეგია. საუკეთესო მაჩვენებელი აქვს მეკარე ბარათელს (592 მატჩი), რომელიც პირველი დივიზიონის სხვადასხვა კლუბში გამოდიოდა.

კომპოზიციის კუთხე

ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

ამომხსნელთა კონკურსზე

საქართველოს სსრ ჭადრაკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი უკვე მეორედ ატარებს პირველობას საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების დასწრებულ ამოხსნაში. შეჯიბრების ეს ფორმა (მონაწილეებმა ერთმანეთის გვერდით, დამოუკიდებლად და მოკლე დროში უნდა გამოავლინონ გამჭრიახობა, ნებისყოფა და ამოხსნის კლასი) დიდ ინტერესს იწვევს და პოპულარობით სარგებლობს ამომხსნელთა შორის. ამჟამად სისტემატურად იმართება სხვადასხვა მასშტაბის (მათ შორის, საკავშირო და მსოფლიო) დასწრებული შეჯიბრებები, ამომხსნელთათვის შემოღებულია საერთაშორისო ოსტატისა და დიდოსტატის წოდებები.

7 დეკემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში კომპოზიციის ბევრი მოყვარული შეიკრიბა. აქ მოეწყო პაექრობა უნივერსიტეტის მსმენელთა შორის უძლიერესის გამოსავლენად. კონკურსში, რომელსაც უძღვებოდნენ მსაჯები ვ. ნეიძე და ი. აკობია (ორივე — თბილისი), მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა მოჭადრაკემ. ორსათნახევარში მათ უნდა ამოეხსნათ კომპოზიციის სხვადასხვა ჟანრის 6 უცნობი ნაწარმოები (თითო-თითო ორსვლიანი, სამსვლიანი, მრავალსვლიანი ამოცანა, ეტიუდი და ამოცანები ნადიშამათსა და თვითშამათზე).

მონაწილეთა უმრავლესობამ კარგად გაართვა თავი დავალებებს. I ადგილი 14-14 ქულით (ერთნაირი დრო) გაიყო სამმა მონაწილემ: მეცნიერმა მუშაკმა პაატა ჩხეიძემ, ინჟინერმა ვასილ ხაჩიძემ (ორივე — თბილისი) და ინჟინერმა გურამ მეკავანაძემ (როხი, მაიაკოვსკის რ.). მეორე ადგილზე (12-12 ქულით) გავიდნენ ე. ჭუმბურიძე (ზედა სამონეთი, თერჯოლის რ.) და ბ. ჩხაიძე (სამტრედია), მესამეზე—თბილისელი ა. სარქისიანი (11 ქ.). გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ წიგნებით.

ა. ოიჰანდლი, 1967



შამათი 3 სვლაში

მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ დასწრებული კონკურსის ამოცანას, რომელმაც ბევრ მონაწილეს დააკარგვინა საჭირო ქულები.

ველით თქვენს ამოხსნებს!

ჩვენი ცნობარი

ბორბალი — გეომეტრიული ტიპის თემა კომპოზიციაში. გამოხატავს საჭადრაკო ფიგურის მიერ დაფაზე წარმოსახვით შეკრულ წრეს ანუ ბორბალს.

ა. ბოტაკი, 1921



შამათი 2 სვლაში

იტალიელი პრობლემისტის ამ სამაგალითო ამოცანაში წარმოსახვით წრეს მხედრის სვლები კრავს. 1. ეg4-ის შემდეგ, რომელიც ქმნის მუქარას 2. ეg8X, შავი ლაზიერი რვაჯერ ცდილობს საშამათო კატასტროფის თავიდან აცილებას, მაგრამ ამაოდ! მისი ყოველი დაცვითი სვლა დაბმული e4 მხედრის აშვებით და მეფის დატყვევებით მთავრდება: 1. ...ლb2+ 2. მd2X, 1. ...ლc3 2. მ:c3X, 1. ...ლh2+ 2. მf2X და ა. შ.

ეს ამოცანა კონკრეტული თემის — „მხედრის ბორბლის“ ნიმუშია.

მერედიტი — შედარებით მსუბუქი ფორმის კომპოზიცია, რომელშიც ფიგურების საერთო რაოდენობა 12-ს არ უნდა აღემატებოდეს (იხ. ამოცანა). სახელი დაერქვა ამერიკელი პრობლემისტის ვ. მერედიტის (1835-1903) პატივსაცემად, რომელიც ორსვლიან ამოცანებს, ჩვეულებრივ, ასეთი შეზღუდული მასალით ადგენდა.

ტასკი — საკომპოზიციო იდეის (თემის) ბევრჯერ ან ზღვრული რაოდენობით გამოხატვა. მას სარეკორდო ნაწარმოებსაც უწოდებენ. მაგალითად, ტასკია ა. ბოტაკის ამოცანა, რომელშიც ერთი დაბმული მხედარი რვაჯერ ითავისუფლებს თავს.

ამოხსნა

„ლელოს“ 30 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი კ. მენსფილდის ორსვლიანი ამოცანის ამოხსნა: ილუზორული თამაში (და არა შამათი, როგორც შეცდომით იყო დაბეჭდილი) — 1. ...კc1 2. მf2X, 1. ...კ:c3 2. ლ:e3X, 1. ...კ:e1 2. ლ:e3X. ნამდვილი თამაში — 1. მ:e3! მფ:c3 (კ:c3) 2. მ:c2X, 1. ...კ:e3 2. ლf1X. 1. ...კc1 2. კ:c2X, 1. ...კ:e1 2. მf1X.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც სხვებზე ადრე გამოგვიგზავნა ამოხსნა: გ. გოზალიშვილი (ზუნორი), ნ. კახიძე (ბათუმი), ჯ. სულუხია (წულუკიძე), გ. საჯაია (წალენჯიხა), რ. ცერცვაძე (ზესტაფონი), ზ. ქველიაშვილი (რუსთავი), დ. და ო. მამულაშვილები (თბილისი).



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ჩვენს რიგებს გამოაკლდა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, დიდი სამამულო ომის მონაწილე, შრომის ვეტერანი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვლადიმერ ლევანის ძე არუთინოვი.

სპორტში შრომითი საქმიანობა ვ. არუთინოვმა 1939 წელს დაიწყო. ჯერ აღრიცხვის ინსპექტორად მუშაობდა, შემდეგ კი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საქმეთა მმართველად.

1945 წელს ვ. არუთინოვი გადაჰყავთ „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში, სადაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. სწორედ აქ, „დინამოს“ სასწავლო-სპორტულ განყოფილებაში მუშაობისას გამოჩნდა ვლადიმერ არუთინოვის, როგორც სპორტული მუშაკისა და მოღვაწის დიდი ნიჭი და უნარი.

ვ. ლ. არუთინოვი ძირითად სამუშაოს წარმატებით უთავსებდა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას — იყო რესპუბლიკის კრივის ფედერაციის მდივანი, ასრულებდა მრავალ საზოგადოებრივ დავალებას.

ამაგდარი ადამიანის საქმიანობა შესაფერისად დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო მრავალი მედლით, „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“, „საპატიო დინამელისა“ და „დინამოს“ ვეტერანის“ სამკერდე ნიშნებით.

ვ. ლ. არუთინოვს ვიცნობდით როგორც გულისხმიერ, კეთილსინდისიერ, წესიერ მუშაკსა და ადამიანს, ამიტომაცაა მასთან განშორება ასე დასანანი. ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ ვლადიმერ არუთინოვმა ლამაზად განვლო თავის ცხოვრება და მაშვრალი ადამიანის ნათელი სახე დაგვიტოვა.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო. კრივის რესპუბლიკური ფედერაცია.

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

ცეცხლში ნაწრთობი

სათაურში გამოტანილი სიტყვები ამ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი. სახელგანთქმული ინგლისელი ფეხბურთელი, „ოქროს“ ბურთის“ 1966 წლის ლაურეატი რობერტ ანუ, როგორც მას ეძახიან, ბობი ჩარლტონი 1958 წლის 6 თებერვალს „მანჩესტერ იუნაიტედის“ სხვა მოთამაშეებთან, მწვრთნელებთან, გუნდის თანმხლებ ოფიციალურ პირებთან და ჟურნალისტებთან ერთად იჯდა იმ თვითმფრინავში, რომელიც მიუნჰენის აეროდრომიდან აფრენის დროს აფეთქდა და 23 მგზავრის სიცოცხლე შეიწირა. თავად ჩარლტონი სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ კარგა ხანს იწვა საავადმყოფოში. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო: ნელნელა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. რობერტ ჩარლტონი დაუბრუნდა მინდორს. ამ ტრაგედიიდან ზუსტად ათი წლის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ფინალურ მატჩში დაამარცხა ლისაბონის „ბენფიკა“ (4:1) და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა. მაშინ „წითელი ეშმაკების“ შემადგენლობაში ორი ცეცხლში ნაწრთობი ვეტერანი გამოდიოდა — რობერტ ჩარლტონი და ბილ ფოლკსი.

საერთოდ, პროფესიულ სპორტში და, კერძოდ, ფეხბურთში, ძალზე იშვიათად ხდება, რომ სპორტსმენი მთელი თავისი კარიერის მანძილზე ერთი კლუბის ღირსებას იცავდეს. ასეთ გამონაკლისთა რიცხვს მიეკუთვნება ბობი ჩარლტონიც, საგულისხმოა ისიც, რომ კლუბში თამაშის მანძილზე მას მხოლოდ ერთი მწვრთნელი ჰყავდა — მატ ბასბი.

ბობი ჩარლტონი დაიბადა 1938 წლის 19 ივლისს პატარა ქალაქ აშინგტონში, საფეხბურთო ტრადიციებით მდიდარ ოჯახში. ბობის დედა „ლიდს იუნაიტედის“ ყოფილი მეკარის ტომ მილბურნის ქალიშვილია. ამავე კლუბის მცველები იყვნენ ბობის ბიძეები, დედის ძმები ჯეკი, ჯორჯი და ჯიმი. ამ თავისებურ საფეხბურთო დინასტიას საფუძველი ჩაუყარა ტომ მილბურნის მამამ, ე. ი. ბობი ოჯახის მეოთხე სპორტული თაობის წარმომადგენელია. მას კიდევ სამი ძმა ჰყავს. მათგან ყველაზე ცნობილია უფროსი ჯეკი. იგი ბიძების მსგავსად „ლიდს იუნაიტედის“ დაცვის ბურჯი იყო, 1966 წელს კი თავის ძმასთან ერთად ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მეორე ძმა, გორდონი, საფეხბურთო ოსტატობით ვერ გაუტოლდა სახელგანთქმულ დედმამიშვილებს და მხოლოდ დაბალ ლიგებში გამოდიოდა. რაც შეეხება მესამე ძმას — ტომს, საკვირველია, მაგრამ მან უღალატა ოჯახურ ტრადიციას და სხვა გზა აირჩია

ბობი, რომელმაც სკოლაში სწავლის დროს დაიწყო ფეხბურთის თამაში და იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება, 15 წლისა მიიწვიეს „მანჩესტერ იუნაიტედში“. 17 წლისამ გააფორმა პროფესიული კონტრაქტი და ჩაატარა პირველი შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში, 18 წლისას დებიუტი ჰქონდა ინგლისის ეროვნულ ნაკრებში... ასე დაიწყო ბრწყინვალე კარიერა სპორტსმენისა, რომელსაც თავისი რბილი, მრავალროვანი, ტიპიური ბრიტანული სტილისაგან განსხვავებული თამაშის მანერის გამო ხშირად „კონტინენტური ყაიდის“ ფეხბურთელს უწოდებდნენ. ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ, ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტის ბრაიან გლენვილის აზრით, ეს შესანიშნავი ოსტატი სამშობლოს გარეთ უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ბრიტანეთის კუნძულებზე. მაგრამ ბობი ჩარლტონს აღიარება და ყურადღება არც შინ აკლდა. პატივმოყვარე ინგლისელები სამართლიანად ამაყობდნენ თავიანთი თანამემამულის მიღწევებით. ამ მიღწევებიდან თავად ჩარლტონი განსაკუთრებით გამოყოფს ორს — 1966 წელს თავის სამშობლოში ჩატარებულ VIII მსოფლიო ჩემპიონატში ნაკრების შემადგენლობაში მოპოვებულ გამარჯვებას და წარმატებას ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის 1967-1968 წლების გათამაშებაში.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: თავისი 20-წლიანი კარიერის მანძილზე ბობი ჩარლტონს სულ სამ მწვრთნელთან მოუხდა მუშაობა. ეს სპეციალისტები არიან ჩვენთვის უკვე ნაცნობი მატ ბასბი, აგრეთვე ვალტერ უინტერბოტომი და ალფ რამსეი, რომლებიც ინგლისის ნაკრებს ხელმძღვანელობდნენ. ქვეყნის ეროვნულ გუნდში ჩარლტონმა სულ 106 მატჩი ჩაატარა (გაიტანა 49 გოლი) და ამ მაჩვენებლით კარგა ხანს ინარჩუნებდა პირველობას მსოფლიოში. ასეთ „სტაბილურობას“ ბობი ჩარლტონი თავისი წარმატებების ერთ-ერთ მთავარ პირობად თვლის. ერთხელ მან განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, კლუბიდან კლუბში მოგზაურობით ვერასოდეს მივაღწევდი ასეთ წარმატებებს. რაც მთავარია, საკუთარი თავის პატივისცემას დავკარგავდი. მე ყოველთვის საკუთარი ღირსებისთვის, თვითდამკვიდრებისთვის ვთამაშობდი. პირველ ყოვლისა, ამისთვის და არა ფულისთვის“.



ზურაბ ინასარიძე.

ეკრანზე...

ცენტრალური ტელევიზია. 4 იანვარი. დილის დაჭურვა — **8.05 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.15 (2)**; „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **9.30 (1)**; ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირის ფინალი (გადმოცემა კანადიდან) — **19.55 (1)**.

5. იანვარი. დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.15 (2)**.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ინფორმაცია

დღეს მსოფლიოში მრავალი მასობრივი გარბენი ტარდება, მათ შორის ერთ-ერთი უძველესი და ამასთანავე მეტად პოპულარულია საახალწლო შეჯიბრება „კორიდა სან სილვესტრე“, რომელიც ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში ტარდება ხოლმე. ტრასა ქუჩაში გამოსული მოზეიმე ხალხის ცოცხალ კედელს შორის გადის. მისი სიგრძე 12,6 კილომეტრია. შეჯიბრების პროგრამა ისეა შედგენილი, რომ მონაწილეები სტარტს ძველი წლის მიწურულს იღებენ და მათ შორის საუკეთესონიც კი დისტანციას ახალი წლის დამდეგს ამთავრებენ. მთავარი პრიზი ორია — ქალებისთვის და ვაჟებისათვის. „კორიდა სან სილვესტრეს“ წლევანდელ შეჯიბრებაში ეს ჯილდოები ცნობილმა პორტუგალიელმა მორბენალმა როზა მოტამ და ეკვადორელმა როლანდო ვერამ დაისაკუთრეს. მოტამ დისტანციაზე 43.25,0 აჩვენა, ვერამ — 36.46,0.

24 თებერვალს ნიუ-იორკის სასტუმრო „ვალდორფ-ასტორიაში“ 1986 წლის საუკეთესო სპორტსმენს გადაეცემა ტრადიციული „ჯესი ოუენსის ჯილდო“. გამარჯვებულს გამოავლენს საერთაშორისო ჟიური. აი, ჯილდოს მიღების კანდიდატებიც: სერგეი ბუბკა (საბჭოთა კავშირი), მძლეოსნობა; იორდანკა დონკოვა (ბულგარეთი), მძლეოსნობა; ჰაიკე დრექსლერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მძლეოსნობა; მიხაელ გროსი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) — კურვა; ბენ ჯონსონი (კანადა), მძლეოსნობა; ჯეკი ჯოინერი (აშშ), მძლეოსნობა; ინგრიდ კრისტიანსენი (ნორვეგია), მძლეოსნობა; გრეგ ლუგანისი (აშშ) — წყალში ხტომა.

ცნობილი მაროკოელი მძლეოსანი საიდ აოუიტა 1986 წლის სეზონის შედეგების მიხედვით აფრიკის № 1 სპორტსმენად აღიარეს. მეორე ადგილზეა მაროკოელი ფეხბურთელი აზიზ ბუდერბალა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის აქტივისტი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი მრავალი წლის მანძილზე

კონსტანტინე დიმიტრის ძე ციციშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ხტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06705